

# ქინანისეზობა

როცა შიში გვიპყრობს იმაზე, თუ რა ხდება,  
უნდა გვესმოდეს, რომ ყოველივე ლოგიკურია...  
სხვა რამ ვერც მოხდებოდა ასეთი გენეტიკით,  
ასეთი წარსულის პირობებში...

ევგენი პონასენკოვი, პოსტსამჭოთა რუსი ისტორიკოსი  
[www.youtube.com/watch?v=OYKY16E4HSc](http://www.youtube.com/watch?v=OYKY16E4HSc)

ისტორია წარსულის რეკონსტრუქციაა. ისტორიოგრაფიამ კარგა ხნის წინ დათმო პირუთენელი ობიექტივიზმის ილუზია, რადგან თანამედროვეობის კითხვებზე გარდასულ ეპოქათა პასუხები ამოუწურავია – ისინი დღევანდელი ცვალებადი მოთხოვნების მიხედვით ვარირებს. ისტორიკოსთა ნახელავი ბაგრატი ალდგენილ ტაძარს ჰგავს, რომლის ავტორები არ და ვერ იქნებოდნენ მიჯაჭვული წარსულის ქარგაზე – თუნდაც, ასეთის ჩვენამდე არასრულად მოღწევის გამო.

მაგრამ ისტორიოგრაფიის გარდაუვალი სუბიექტივიზმი არ ქმნის ფიქციას. წარსულის მკვლევარი წყაროთა მარნუხებშია მოქცეული და, შესაბამისად, ვერ გამოიგონებს არმომხდარ მოვლენებსა თუ პერსონაჟებს. მისი ამოცანა მწერლის დანიშნულებას კი ჰგავს, მაგრამ მაინც განსხვავებულია: წარსულის მიერ შემოთავაზებული მწერი და ნაწყვეტი ცნობებით ისტორიკოსმა აქტუალური უნდა გახადოს იგი – გააცოცხლოს იმისათვის, რომ დღევანდელი უკეთ გაგებაში (თუ კონსტრუირებაში) დაიხმაროს. ბაგრატი ტაძრის მეტაფორას რომ დავუბრუნდეთ, მისი ალდგენის ფორმა არა წარსულის ასლის შექმნა, არამედ საქართველოს მოდერნიზაციის პარადიგმისათვის ისტორიული საფუძვლების ძიება/ფორმირების მცდელობაა. სხვათა შორის, თანამედროვე, ოლონდ განსხვავებული, მოთხოვნებისავე სამსახური იქნებოდა ტაძრის ნანგრევთა შენარჩუნება/სტილიზაცია: იგი მოესალაუბნებოდა რომანტიკულ, შესაბამისად კი, მჭვრეტელურ გუნებგანწყობებს.

წარსულისა და თანამედროვეობის ურთიერთობა, თუ როგორც ერთი პოსტმოდერნისტი ავტორი ისტორიას უწოდებდა – მომხდარის შესახებ მახსოვრობით თამაში<sup>1</sup> – მრავალი ფორმით შეიძლება. თუმცა ისტორიკოსისათვის მთავარი, წინარე ტექსტებზე დაყრდნობით, საკუთარი ტექსტის შექმნაა. წინამდებარე სადისკუსიო წერილების პირველი ნომერიც ასეთ ტექსტთა კრებულია. “ისტორიის რეკონსტრუქციების“ მიზანია საქართველოსა თუ რეგიონში მომხდარი ისეთი სოციალური, კულტურული და, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ამბების ინტერპრეტაცია, რომელნიც დღევანდელი სოციუმისა და პოლიტიკის შესაცნობად და მომავალზე ზრუნვისათვისაა აქტუალური. წარმოდგენილი წერილები, რომელნიც აკადემიური ანალიზისა და ესეისტიკის ჩარჩოთა შორის ვარირებს, ისტო-

1 ისტორიისადმი პოსტმოდერნულ სკეფსისზე, მის ლიტერატურულ ჟანრად წარმოდგენაზე საინტერესოდ ყველა რიჩარდ ევანსი. მართალია, იგი ფრანკ აკერსმიტის ამ ირონიულ ფრაზას არ იზიარებს, მაგრამ თვლის, რომ ისტორიკოსის შრომა არქივიდან კი არ იწყება, არამედ თეზისის ფორმულირებიდან. არქივი, წყაროები შემდგომ ხდება აქტუალური – თეზისის დამტკიცებისათვის მოწმობების საძიებლად Richard J. Evans, In Defense of History, W.W. Norton and Company, 2000

რიულ ფიგურებზე, ელიტებსა თუ პოლიტიკურ ცენტრთა ანატომიაზე დისკუსიის ხელშეწყობას ემსახურება. ავტორთა მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია ნაირფერია: ისტორიულ ტექსტთა შინაარსობრივ-სტრუქტურული ანალიზიდან – საზოგადოებრივი ფენების სოციოლოგიურ დახასიათებამდე. გვხვდება ერთგვარად მიკროისტორიული ჩანახატებიც, რომელთა მეშვეობითაც ნაციონალური პროცესების თუ ეპოქის სულის წარმოდგენაა გამიზნული. კრებულის სიახლე, რომელზედაც პრეტენზიას მისი შემქმნელები აცხადებენ, შეიძლება ორგვარად იქნას გაგებული: ერთი მხრივ, იგი ეხება თემებს, რომლებიც წარსულის იდენტობებს შეგვაგრძნობინებს და თანამედროვე ეროვნულ-რეგიონალური იდენტობების შეცნობაში დაგვეხმარება. ამასთან, წერილები ისეთ თემატიკას ეძღვნება, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ან იგნორირებულია, ან კრიტიკულ გადაფასებას ითხოვს. მოკლედ, ამ წერილებით საზოგადოებრივი სამსჯავროს წინაშე კვლავ ისმება მარადიული კითხვა – რა მოხდა ჩვენს წარსულში ისეთი, რისი კრიტიკული გადაფასებაც უკეთესი მომავლის შენებისათვის გვჭირდება. კრებულის იმპერატივი კი ისაა, რომ მომავალის შექმნა შეუძლებელია, თუ მახვილი მზერა წარსულისაკენ არაა მიმართული: როგორც ადამიანი, ისე საზოგადოებაც, არ არსებობს მუდმივად რეკონსტრუირებადი წარსულის გარეშე, რომელიც აწმყოსაც განაპირობებს და მომავალსაც. ერთი ფრაზით რომ შეიძლებოდეს კრებულის სულისკვეთებისა თუ მიზნის გადმოცემა, გამოგვადგებოდა ათწლეულების წინ (თუმცა კი სულ სხვა მსოფლხედვით), გადაღებული სამეცნიერო-პოპულარული ფილმის სათაური: „მოგნებები მომავალზე“.

„ისტორიის რეკონსტრუქციების“ პირველ ნომერში ოთხი სტატიაა შესული. ნოდარ ლადარიას მე-18 საუკუნის მოაზროვნე ქართველის მენტალობის დახასიათებლად იყენებს სულხან-საბა ორბელიანის ყველასათვის ცნობილ ტექსტს „მოგზაურობა ევროპაში“. რა თქმა უნდა, თემა უფრო ამომწურავ კვლევას ითხოვს, მაგრამ ეს მცირე ზომის წერილი უდავოდ ნოვატორულ ხედვას გვთავაზობს იმაზე, თუ რა კავშირი იყო სულხან-საბას სამოგზაურო ჩანაწერებსა და მის თანამედროვე ევროპულ აზრს შორის: ლადარიასათვის ტექსტი მნიშვნელოვანწილად ანაქრონისტულია – შუასაუკუნეობრივი, რომელშიც ყურადღება არ ექცევა არც სივრცეში ზუსტ ორიენტირებას და არც ესთეტიკურ იერარქიას. მაგრამ იმავდროულად, „მოგზაურობა ევროპაში“ ავლენს ახალი დროების სულისკვეთებას: ლადარიას თქმით, ავტორი მკითხველზე ორიენტირებული აქტიური პოლიტიკური ლიდერია, რომელიც ყურადღებას იმდროინდელი საქართველოს კულტურული ჩამორჩენის დაძლევის საჭიროებაზე ამახვილებს.

მენტალიტეტს, უფრო სწორად კი ჰაბიტუსს ეხება დამწყები მკვლევრის, მარიამ მათიაშვილის „თბილისი იყო ურთიერთობა“. ოღონდ ამჯერად კვლევის საგანი არა ინდივიდუალური მოაზროვნე, არამედ კონკრეტული სოციუმი – მეოცე საუკუნის 50-80-იანი წლების თბილისელთა წრე, ანუ ბურდიესეული „მილიო“. ერთი მხრივ მათიაშვილი დაუბრუნდა დასავლურ სპეციალურ ლიტერატურაში კარგად ნაცნობ თემას, საბჭოთა კლასობრიობას, ოღონდ სიახლეა, თბილისის მაგალითზე, საბჭოთა ელიტის კულტურულ-გეოგრაფიული პარამეტრების ძიება. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა კვლევის მეორე ასპექტი: სოციოლოგიური თეორიებისა და ინტერვიუებსა თუ მხატვრულ ლიტერატურაში ასახული თბილისური ფოლკლორის გამოყენებით ავტორი ამტკიცებს, რომ ქალაქის ცენტრალური უბნების მაცხოვრებელთა ქედმაღლობა სოფლის მიმართ, იგივე რურალური ერთობის წევრთათვის დამახასიათებელი მენტალობით აიხსნება. ავტო-

რისათვის გვიანსაბჭოთა თბილისი უფრო სოფლური რეზიდუალური ჰაბიტუსის მქონე უბანთა კონგლომერატია, ვიდრე მოდერნული, კონტრაქტზე, კონკურენციასა და ინდივიდუალურ გაუცხოვებაზე მდგომი ქალაქი.

გიორგი მამულიას სტატია საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ეპოქაში გვაბრუნებს. თემა, თავისთავად, ამოუწურავია და, მინიმუმ, იდეოლოგიური კლიშეებისაგანაა ჯერაც გასათავისუფლებელი. მაგრამ სტატია მხოლოდ ამით არ იქცევს ყურადღებას. ქართველი მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილი გერმანული წყაროების გამოყენებით მამულია ხსნის, თუ რატომ აყოვნებდა ამიერკავკასიის დროებითი ხელისუფლება დამოუკიდებლობის გამოცხადებას; რამდენად ეხამუშებოდათ ქართველ სოციალ-დემოკრატებს ოსმალური ექსპანსიის წინააღმდეგ პროგერმანული ქართული დასის გამოყენება; როგორ ნელ-ნელა, მაგრამ გარდაუვლად ერთგვბოდა თბილისი თეთრი და წითელი რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ჩრდილოეთ კავკასიელებთან თანამშრომლობის საქმეში. სტატიის მთავარი სიახლე კი, ჩემი აზრით, ისაა, რომ საქართველოს ბედი თუ უბედობა არა მონყვევით, არამედ კავკასიურ კონტექსტშია განხილული. ჩვენი წარსულის უშუალო შემოქმედებად მოჩანან გერმანულ-ავსტრიული და ჩერქეზულ-ჩეჩნური ელიტის წარმომადგენლები. აკაკი ჩხენკელის დონის ეროვნულ ფიგურათა პოლიტიკის ტრაექტორია კრესენმტეინის, თალაათ ფაშას, ბამატისა და ჩერმოვივის ინტერესებისა და ქმედებებისაგან განუყოფლადაა განხილული.

დაბოლოს, კრებულის ფარგლებში გთავაზობთ ჩემს სტატიას – „ახალციხე – ქართული იერუსალიმი“. იერუსალიმის მეტაფორა, ამ შემთხვევაში, საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული ცენტრის პოლიტიკურ და კულტურულ მრავალგანზომილებიანობაზე მიუთითებს. ქართული სახელმწიფოს ეს განუყოფელი ნაწილი, იმავდროულად, განსაკუთრებულ ემოციებს თურქულ, რუსულ და სომხურ წრეებში იწვევს. სტატიაში გამოყენებული წყაროები, დიდი ხანია, ცნობილია. არც იმაზე მითითებაა ახალი, რომ ადგილობრივ ხალხებზე ბატონობისათვის მებრძოლ მეზობელ იმპერიათა ფრონტის ხაზი ახალციხის სანახებზეც გადიოდა. მაგრამ საუკუნეების მანძილზე განვითარებული ახალციხური დრამის გახსენება აქტუალურად მივიჩნიე, რადგან დღეს იქ მცხოვრებთა თანაარსებობის თანამედროვე მოდალობებზე ზრუნვა ჩვენი საზოგადოების ამოცანაა. საქართველოში ათწლეულების წინ დეკორტირებული მესხები ბრუნდებიან. ისტორიის ინტერპრეტაციების ადეკვატურობაზეა დამოკიდებული, გვეყოლება მომავალში „ახისკა თურქებად“ წოდებული გაუცხოებული ეთნოჯგუფი თუ მულტიკულტურული საქართველოს ინტეგრალური ახალი (ძველი) მესხური ნაწილი.

ეს ოთხი წერილი პირველი კენჭებია იმ მოზაიკის ხელახლა ასაწყობად, რომელსაც „ქართული“ სამყარო წარმოადგენს. როგორც თავიდანვე ითქვა, ეს სამყარო წარსულის და აწმყოს დიალექტიკაა, რომლის კონტურების გამოკვეთა მისსავე მომავლის კონსტრუირებას ემსახურება. ცნება ქართულის ბრჭყალებში მოქცევა კი იმაზე ხაზგასმას ემსახურება, რომ იგი არც ეთნიკურადაა ჰომოგენური და არც თანამედროვე სახელმწიფოებრივი საზღვრებით ამოიწურება. ვიმედოვნებ, „ისტორიის რეკონსტრუქციები“ ყურადღებას მიიქცევს, გაგრძელდება და ავტორთა შემდგომი გამრავალფეროვნებით მოემსახურება დასახულ ამოცანას.

*დავით დარჩიაშვილი, 2015 წლის სექტემბერი*